პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 86 (685) | კვირა, 1 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 27-28 ოქტომბერს შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში“.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

## ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა უნდა შესრულდეს

ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოთა სისტემის საფუძველი მასობრიობაა. ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში აღიზარდნენ და გამოიწრთნენ ჩვენი სამშობლოს მოწინავე სპორტსმენები, რომლებიც ახლა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას წარმატებაზე აღწევენ და სახელს უხვეჭენ მშობლიურ სპორტს.

მასობრივი მუშაობის, მშრომელთა გაჯანსაღების, ფიზიკურად გამოწრთობის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა მშთ კომპლექსი. იგი ჩვენს ქვეყანაში კომკავშირის ინიციატივითაა შემოღებული და ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის კომკავშირელები უდგანან სათავეში.

მშთ კომპლექსი ახალგაზრდას აძლევს მრავალმხრივ ფიზიკურ მომზადებას, საფუძველს უყრის მის სპორტულ მომავალს. ამიტომაა, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე გაიშალა ნაყოფიერი მუშაობა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებისათვის. რაიონებს, ქალაქებს, სპორტულ საზოგადოებებს მიეცათ დავალება — გეგმა, რომლის შესრულება უდავოდ შეუწყობდა ხელს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის ახალ აღმავლობას, გამოზრდიდა ახალ თანრიგოსნებს. რესპუბლიკის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიიღებდნენ შევსებას, უფრო საინტერესო და დაძაბული გახდებოდა შეჯიბრებები.

1953 წლის 10 თვე გავიდა. რა მდგომარეობა გვაქვს ახლა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების საქმეში? უნდა ითქვას, რომ ცუდი. მთელი რიგი რაიონები და ქალაქები სანახევროდაც ვერ ასრულებენ გეგმებს. არიან ისეთებიც, რომლებსაც სრულებით არ მოუმზადებიათ თანრიგოსნები. ვერც სპორტულმა საზოგადოებებმა იმუშავეს კარგად. „ტრუდი“, „პიშჩევიკი“, „ლოკომოტივი“, „ნაუკა“ და სხვა სპორტული საზოგადოებები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან. განსაკუთრებით ცუდადაა მშთ მეორე საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების საქმე. სრულიად არ მოუმზადებიათ მშთ მეორე საფეხურის ნიშნოსნები აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, კასპის, ქარელის და სხვა რაიონებს. მიმდინარე წლის განმავლობაში არცერთი სპორტსმენი თანრიგოსანი არ მოუციათ ამბროლაურის, ყაზბეგისა და სხვა რაიონებს.

ასეთი მდგომარეობა ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ფიზკულტურის ზოგიერთი მუშაკი ჯეროვნად ვერ აფასებს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეს, არ ზრუნავს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებაზე, მუშაობის გაცხოველებაზე.

განსაკუთრებული გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ აქვს ადგილი თვალის ახვევის ფაქტებს, ნიშნოსანთა პირადი ბარათების ზერელედ გაფორმებას. ასე მოიქცა თიანეთის ჯანმრთელობის განყოფილების ინსპექტორი ო. ჯამაგიძე. მის მიერ „მომზადებულ“ ნიშნოსნებს საკონტროლო გამოცდა არ ჩაუბარებიათ. მან კი შეადგინა საბუთები და მთავარ სამმართველოში გამოგზავნა.

წინ კიდევ ორი თვეა, რაც საკმარისია იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა. უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმა — ეს ჩვენი მუშაობის კანონია. მაშასადამე, ერთი წუთითაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან მისი შესრულების მიმდინარეობა. ამ ორი თვის განმავლობაში არცერთი დღე არ უნდა დავკარგოდ უქმად. საჭიროა ახლავე დავსახოთ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

მთლიანად უნდა გამოვიყენოთ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარება. შემოვიკრიბოთ აქტივი, დავრაზმოთ მთელი ძალები და მივაღწიოთ გეგმის შესრულებას. ამისათვის კი საჭირო იქნება მოვაწყოთ მასობრივი შეჯიბრებები კოლექტივებისა და რაიონების პირველობაზე. ეს ღონისძიებები მოვაწყოთ მაღალი სპორტული დისციპლინის ნიშნით, თვითეულ მონაწილეს განვუმარტოთ, რომ იგი იბრძვის საკუთარი კოლექტივის სპორტული ღირსების დასაცავად. ამხანაგებს ჩავუნერგოთ, რომ საჭიროა მთელი შესაძლებლობის გამოელინება, მაღალი სპორტ-ტექნიკური შედეგების მოპოვება.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ იქნა მშთ კომპლექსის ახალი პროექტი, რომლის განხილვა მოხდა ფიზკულტურულ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე. ახალი პროექტი უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ჩამბარებლებს. საჭიროა გულდასმით გავეცნოთ მას, წამოვაყენოთ ჩვენი წინადადებები და ხელი შევუწყოთ პროექტის სრულყოფას.

ახლა, ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი არის ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა გეგმის პირნათლად შესრულება. აქეთკენ უნდა წარიმართოს მთელი ძალები და მივაღწიოთ იმას, რათა წლის ბოლოსათვის გავანაღდოთ დავალება.

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 29 ოქტომბრის სხდომის შესახებ

29 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. დ. გიორგაძემ.**

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევა.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის, ხაშურის, ზესტაფონის, ახალციხისა და ბოლნისის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის დავალებით დეპუტატ **დ. ზ. რომელაშვილს** შეაქვს წინადადება — განთავისუფლდეს დეპუტატი **ვ. გ. ცხოვრებაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი **მ. დ. ჩუბინიძე.**

სესია იღებს ორივე ამ წინადადებას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ **მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძეს.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **მ. ა. მეგრელიშვილს.** აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის და ზუგდიდის, ზესტაფონისა და ჩოხატაურის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის დავალებით მას შეაქვს წინადადება — განთავისუფლდეს დეპუტატი **მ. კ. დელბა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი **ა. მ. ქოჩუა.**

სესია იღებს ორივე ამ წინადადებას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ **ანდრია მაქსიმეს-ძე ქოჩუას.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **თ. ნ. ქვლივიძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებებს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან **ვ. მ. ბაქრაძის** განთავისუფლებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილის** დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს: „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“, „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“, „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“, „საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“, „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობიდან **ამხ. მ. ი. ბარამიას** განთავისუფლების შესახებ“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად **ამხ. მ. პ. გიორგაძის** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან **ამხ. ვ. ი. ქიაურელის** განთავისუფლების შესახებ“, „საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად **ამხ. ა. ლ. გუნიას** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან **ამხ. რ. კ. წულუკიძის** განთავისუფლების შესახებ“, „საქართველოს სსრ განათლების მინისტრად **ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად **ამხ. ზ. ნ. კეცხოველის** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად **ამხ. გ. ა. რობაქიძის** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრად **ამხ. თ. ნ. დავითაშვილის** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის **ამხ. მ. პ. გიორგაძის** დანიშვნის შესახებ“. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის **ამხ. კ. ხ. ციმაკურიძის** დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად **ამხ. გ. ა. ალავიძის** დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს, საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის, საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესაბამისად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ სათანადო ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-50, 55-ე და 56-ე მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 173 სახალხო მსაჯული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა.

## პოლონელი მოცურავის მსოფლიო რეკორდი

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პირველად პოლონეთის ეროვნული სპორტის ისტორიაში პოლონელმა სპორტსმენმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი ცურვაში. ამ გამარჯვებას მიაღწია სპორტული საზოგადოება „სტალის“ გუნდის უძლიერესმა მოცურავემ მარეკ პეტრუსევიჩმა. მან 100 მეტრი ბრასის სტილით გასცურა 1:10,9 და 0,3 წამით გააუმჯობესა საბჭოთა სპორტსმენის მინაშკინის მსოფლიო რეკორდი.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### 876,5 კილომეტრი ველოსიპედებით

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საგზატკეცილო ველორბოლა. ამას წინათ დამთავრდა გამარჯვების მრავალდღიანი ველორბოლა, რომელიც რესპუბლიკაში მეცხრედ მოეწყო.

ექვსი დღის განმავლობაში ველოსიპედისტებმა 876,5 კილომეტრი დაფარეს. ველორბოლის მარშრუტი დაყოფილი იყო ექვს ეტაპად. შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა კ. შანდრუმ (არმიელთა კლუბი კკა), რომელმაც მანძილი 23 საათში, 54 წუთსა და 26 წამში გაიარა. მეორე ადგილზე გამოვიდა არმიელი დ. ცუპე, მესამე ადგილი მოიპოვა გასული წლის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა კ. სტენესკუმ. გუნდურ ჩათვლაში არმიელები პირველობდნენ.

### სპორტის ახალი ოსტატები

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც ბუქარესტში ჩატარდა, ბულგარეთის სპორტსმენებმა მაღალი შედეგები აჩვენეს. ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დიდი წარმატებებისათვის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ქრისტო დონევს და ცვეტკო ნიკოლოვს, აგრეთვე ივანე ვესელინოვს. პირველი ორი სპორტსმენი შედიოდა კალათბურთელთა ნაკრებ გუნდში, რომელმაც ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ვესელინოვმა ძალოსანთა შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

### სპორტის განვითარება ჩეხოსლოვაკიაში

გასულ წელს ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ მიიღო დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი ამაღლებისათვის. ჩამოყალიბდა სპორტული საზოგადოებები, მათ შორის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამო“, რომელშიც გაერთიანდნენ ენერგეტიკულ დაწესებულებათა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მტს-ებისა და სახელმწიფო მეურნეობის პროფკავშირთა წევრები.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში საზოგადოება „დინამომ“ დიდ წარმატებას მიაღწია. ჩამოყალიბდა 142 კოლექტივი, რომელშიც გაერთიანდა 10 ათასზე მეტი კაცი.

მიმდინარე წელს გაიმართება „დინამოს“ პირველი სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 8 ათასი სპორტსმენი.

### სასოფლო სპარტაკიადა

პოლონეთის ქალაქ შჩეცინში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა პირველი სრულიად პოლონეთის სპარტაკიადა, რომელმაც ცხადყო სოფლის ახალგაზრდობას შორის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღმავლობა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში, საველოსიპედო სპორტში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, სროლაში და სხვ.

სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს გდანსკის სავოევოდოს სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა პოზნანის, ხოლო მესამეზე — შჩეცინის სავოევოდო. სპარტაკიადის მსვლელობაში დამყარებულ იქნა სასოფლო სპორტული საზოგადოების რამდენიმე რეკორდი.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა შეჯიბრება ფეხბურთში. აქ სპარტაკიადის ჩემპიონი ოპოლის გუნდი გახდა.

# დარჩენილი დრო რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმის მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულებას. თუ თვალს გადავავლებთ მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას, დავრწმუნდებით, რომ ამ მიმართულებით საქმე ვერ არის კარგად.

პირველი ოქტომბრისათვის იმშთ-ს გეგმა შესრულებულია 77 პროცენტით, მშთ I საფეხურის — 68,2 პროცენტით, მშთ II საფეხურის — 20,1 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდად იმუშავა ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად „კოლმეურნემ“. მას გეგმით მშთ I საფეხურზე 15.000 კაცი უნდა მოემზადებინა, მაგრამ 1-ლი ოქტომბრისათვის მხოლოდ 6.773 კაცია მომზადებული. უარესი მდგომარეობაა მშთ II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადებაში. არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე სხვა სპორტულ საზოგადოებებში. „კრასნოე ზნამიამ“ (თავმჯდომარე ი. ჯიშკარიანი) 220 კაცის ნაცვლად მოამზადა 36, „ტრუდმა“ 440 კაციდან მხოლოდ 77. ასეთივე მდგომარეობაა „ლოკომოტივში“, „პიშჩევიკში“, „ბურევესტნიკში“ და სხვ.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ შეამოწმა მშთ ნიშნოსანთა მომზადებისა და მათზე დოკუმენტების გაფორმების მდგომარეობა. აქაც მეტად დიდ დარღვევებს აქვს ადგილი. მიუხედავად არაერთგზის მითითებისა და ინსტრუქტაჟისა, ბევრგან ნიშნოსანთა მომზადება წარმოებს უსისტემოდ. ნორმატივების ჩაბარება არ ხდება შეჯიბრების სახით, ბევრგან კომპლექსის მიმღები კომისიებიც კი არ არსებობენ და თუ არსებობენ უმოქმედობას იჩენენ.

მშთ ნიშნოსანთა მომზადების დოკუმენტების შემოწმებამ (ქობულეთის, ქედის, ბათუმის, თელავის, სუხუმის, გაგრის, თიანეთისა და სხვა რაიონებში) დაგვანახა ის, რომ ხშირად საქმე გვაქვს მშთ ნორმატივების მიღების ინსტრუქციის უხეშ დარღვევასთან. თიანეთში არსებობს მშთ კომპლექსის მიმღები სარაიონო კომისია, რომელსაც ჯერჯერობით არაფერი არ გაუკეთებია. ამის მიზეზი იყო, ის, რომ ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოადგილემ ო. ჯამაგიძემ მთავარ სამმართველოში ფიქტიური ცნობები გამოგზავნა. ჯამაგიძის ცნობით, თიანეთში მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში იმშთ საფეხურზე მომზადებულა 200, მშთ I საფეხურზე—287 და მშთ II საფეხურზე 20 ნიშნოსანი. შემოწმებამ დაადასტურა, რომ არცერთ ზემოხსენებულ ნიშნოსანს არ გაუვლია საკონტროლო გამოცდა. ჯამაგიძემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები და უმართებულოდ „მიანიჭა“ მათ ნიშნის ტარების უფლება, რითაც უხეშად დაარღვია არსებული ინსტრუქცია.

ცუდად არის დაყენებული ეს მნიშვნელოვანი საქმე (განსაკუთრებით მშთ II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადება) აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, თბილისსა და ქუთაისში. სრულიად არ მოუმზადებიათ მშთ II საფეხურის ნიშნოსნები აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დუშეთის, მესტიის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ქარელის, კასპის, კაჰრეთის, ყვარლის, ცაგერის, ქლუხორის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, საგარეჯოს, ხობის, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურისა და ჩხოროწყუს რაიონებს.

სუსტად მიმდინარეობს თანრიგოსანთა მომზადებაც. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში I თანრიგოსანთა მომზადების გეგმა შესრულებულია 40 პროცენტით, II — 65, III—40,5 პროცენტით, ხოლო მოზარდთა თანრიგის—50 პროცენტით. არც ერთი სპორტსმენი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ ამბროლაურის, ყაზბეგისა და ცაგერის რაიონებს. საგრძნობი ჩამორჩენა აქვთ ადიგენის, მარნეულის, დუშეთის, წალკის, წყალტუბოსა და სხვა რაიონებს.

სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების საქმეში დიდი წვლილი უნდა შეეტანა განათლების სამინისტროს სკოლებს, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. ასევე ჩამორჩნენ საზოგადოება „ნაუკის“ კოლექტივები. „ნაუკა“ სპორტსმენ თანრიგოსნებს უმთავრესად თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (კათედრის გამგე კ. ზაუტაშვილი) და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (კათედრის გამგე მ. ცხვედაძე) ხარჯზე ამზადებს. მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნულ სასწავლებლებში, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის, ნაკლებად ზრუნავენ სპორტსმენთა მასობრივად მომზადებისათვის.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ხელმძღვანელ მუშაკებს დღემდე ვერ შეუგნიათ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამაში ბრალი მიუძღვის აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის მთავარ სამმართველოს, რომელმაც ვერ გაუწია ჯეროვანი ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში მასობრივი მუშაობის გაშლის საქმეს.

1953 წლის დამთავრებამდე ორი თვე დარჩა. კიდევ გვაქვს დრო, რათა გამოვასწოროთ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ადგილებზე ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება. საჭიროა რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველი დღე და პირნათლად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა — ვუხელმძღვანელოთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეს.

ამისათვის კი საჭირო იქნება დავსახოთ მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, სადაც ახალგაზრდები ჩააბარებენ მშთ-სა და თანრიგის ნორმებს. ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ ფიზკულტურული აქტივი, მისი დახმარებით მოვიზიდოთ რაიონის ახალგაზრდები. სათუთად, გულისხმიერად გავაფორმოთ საბუთები. სასტიკი კონტროლი დავაწესოთ ნორმების შესრულებაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მარტო გეგმის შესრულება კი არ უნდა გვაინტერესებდეს, არამედ მისი ხარისხიც, ე. ი. ჩამბარებელმა კომპლექსის ყველა ნორმატივი უნდა შეასრულოს ზუსტად, ყოველგვარი შეღავათის გარეშე.

**ა. დოკვაძე,**
**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსი.**

## წერილების კვალდაკვალ

**ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა გურჯაანის რაიონის კარდენახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთის გუნდისა და მისი მწვრთნელის მ. კუცაშვილის ცუდ მუშაობას.**

**როგორც საქართველოს ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. მ. მარტაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა ღონისძიება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.**



## რჩეულთა ასპარეზობა


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის გუნდი.
ფოტო მ. ზარგარიანისა

### საქართველოს გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

სამი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის 1953 წლის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც 231 კაცი მონაწილეობდა.

ეს ციფრი ქართული ჭიდაობის პოპულარობის ზრდისა და მასობრიობის უდავო დამადასტურებელია, მაგრამ ამ ასპარეზობას მეტი ინტერესი ექნებოდა, რომ მასში მონაწილეობა მიეღოთ ქარელის, დუშეთის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ონის რაიონებს. შეჯიბრებისადმი გულგრილობა გამოიჩინა აგრეთვე საგარეჯოს რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ, რომელმაც ვერ უზრუნველყო დაკომპლექტებული გუნდის გამოყვანა.

ამრიგად, ფინალში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, გორის, კასპის, მცხეთის, ქუთაისის, გურჯაანისა და ახმეტის გუნდებმა, ხოლო ზესტაფონის გუნდი, რომელმაც ქუთაისის ზონაში საპრიზო ადგილი მოიპოვა, რატომღაც ფინალზე არ გამოცხადდა.

რჩეულთა ასპარეზობის მონაწილეთა აღნიშნული შემადგენლობა იმის საბაბი გახდა, რომ თბილისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ ამ შეჯიბრებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა, ხოლო მოჭიდავეებმა მაყურებლებს აჩვენეს მაღალი სპორტული ტექნიკა, ილეთების მრავალფეროვნება. შეჯიბრებაზე სტუმრად მყოფი სახელგანთქმული მოჭიდავე სანდრო კანდელაკი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მოჭიდავეები ახლა უფრო მეტ ფანდებს იყენებენ, ვიდრე ჩვენ დროსო.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ გორის ფიზკულტურის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო შეჯიბრებაზე სრული გუნდის გამოგზავნა, რის გამოც მსუბუქი წონის მოჭიდავეებს მაღალ წონებში უხდებოდათ გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს საფინალო შეხვედრებისათვის მხოლოდ ხუთი კაცი დარჩა, დაძაბულ შერკინებაში მან მაინც მოუგო გურჯაანის გუნდს, რომელსაც 7 კაცი ჰყავდა. მხოლოდ ამ მოგების შედეგად შეძლო კარგი ტრადიციების მქონე გორის კოლექტივმა მე-7 ადგილის დაკავება.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აფხაზეთისა და ახმეტის მოჭიდავეებმა. აფხაზეთია ახალგაზრდა მოჭიდავეებმა მეხუთე ადგილი მოიპოვეს, ახმეტის გუნდი კი მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონების მოჭიდავეებს მოუმზადებლობა ეტყობოდათ. მარტო ბუნებრივ მონაცემებზე დამყარება და საწვრთნელი მუშაობის ჩაუტარებლობა, ფანდებისა და მათი საწინააღმდეგო ხერხების გამოუყენებლობა, მოჭიდავეებს ხშირად სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა.

თბილისის გუნდებმა, რომლებიც ყოველდღიურად მეცადინეობდნენ, სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილები. ასპარეზობაში მესამე და მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ კასპისა და მცხეთის გუნდები. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ გუნდების შემადგენლობაში არ იყვნენ ცნობილი მოჭიდავეები ს. ბახტაძე (კასპი) და კ. უნდილაშვილი (მცხეთა), რამაც საგრძნობლად შეასუსტა ზემოაღნიშნული კოლექტივები.

პირველობის მონაწილეთა მიერ 211 სუფთა გამარჯვება აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ჭიდაობა ჩვენი ახალგაზრდობისათვის სპორტის ერთ-ერთი საყვარელი სახეობა გახდა.

**მ. ხერხეულიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

* * *

## როგორ ვემზადებით ზამთრის სპორტული სეზონისათვის?

### გაზეთ „ლელოს“ რეიდი

### ოცნება... და სინამდვილე

კავკასიონის კალთები შეჭაღარავდა. ალიონზე ცივი, სუსხიანი ნიავი ჰქრის. შეჭირხლულ ხეებს ყვითელი ფოთლები ცვივა. ქალაქში ახლა იშვიათად ნახავთ უპალტოო მოქალაქეს. საკვამურებიდან ბოლქვებად ამოსული კვამლი ლეგა ღრუბლივით ეფინება სახურავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სტალინირში ზამთარი თავის უფლებებში შედის.

— დიახ!... — ხელების ფშვნეტით ამბობს ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის ინსპექტორი ნ. გაზაევი, — ზამთარი უკვე მბრძანებლობს მთებში, მალე ჩვენც გვესტუმრება თოვლით და ყინვებით! იცით? — განაგრძობს იგი, — ეს დრო ყველაზე უფრო სპორტულია. გამძლეობა, ამტანობა, სხეულის სისხარტე და მოქნილობა სწორედ ახლა უნდა გამოამჟღავნონ სპორტსმენებმა.

არ შეიძლება არ დაეთანხმო მას, მით უმეტეს, თვითონაც თუ გული ერჩის, ე. ი. ზამთრის სეზონისათვის სპორტულ ბაზებზე თუ ყველაფერი წესრიგზეა.

— აი, — ოცნებასავით განაგრძობს ნ. გაზაევი, — დადგება ზამთარი და ჩვენც დარბაზებში დავიწყებთ სპორტულ ცხოვრებას. ტანვარჯიში, კრივი, ფარიკაობა ზამთარში უფრო ჰპოვებს გასაქანს, კარგია, როცა სამისოდ ყველაფერი მზად არის!...

წინასწარ დაიმედებული მივდივართ სპორტული ბაზების დასათვალიერებლად და მწარე სინამდვილე სწრაფად აქარვებს ნ. გაზაევის ნაოცნებარს... სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტს ყველაზე დიდი ფიზკულტურული კოლექტივი ჰყავს. სტუდენტები ახლა სპორტულ დარბაზში საწვრთნელად ისწრაფვიან, მაგრამ მათ ხვდება გამოკეტილი კარები.... საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ სტალინირის სამშენებლო კანტორამ (უფროსი ს. გასიევი) ხელშეკრულების თანახმად დაიწყო ინსტიტუტის სპორტული დარბაზის რემონტი. მას შემდეგ ქალაქში ორჯერ გალხვა თოვლი და ახლა, მესამე ზამთრის მოლოდინში, დარბაზი კვლავ გასარემონტებელია. იატაკი ისე დააგეს, რომ სპორტსმენი ფეხს წაიტეხს, მინგრეულ-მონგრეულია ტანსაცმლის გასახდელი და საშხაპო ოთახები, შესასვლელი... დარბაზში ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობს სავარჯიშოდ — შვედური კიბე დაუმაგრებელია, რგოლები დასაკიდია, ინვენტარი მიყრილ-მოყრილია.

ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ ხსენებულმა კანტორამ დაიწყო ქალაქის ფიზკულტურელებისათვის სპორტული დარბაზის მშენებლობა. მას შემდეგ ბევრმა ზამთარმა გაიარა, მაგრამ დარბაზი კვლავ მოუწყობელია.

ზამთრის სეზონს მოუმზადებელი ხვდება ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა. სპორტულ დარბაზში ერთი უვარგისი ტაიჭისა და ორძელის გარდა არაფერია. ღია ცის ქვეშ სამეცადინოდაც მოუწყობელია მოედანი, რომელიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე გადათხარეს და გასწორება დღემდე არ აღირსეს.

### «სად იყიდება სპორტტანსაცმელი?»

ამ კითხვით შეიძლება შემოიარო მთელი ქალაქი. ბოლოს დაინტერესებული პირი მიადგება „დინამოს“ მაღაზიას, სადაც კეთილი გულით... და ხელცარიელი დაგხვდებიან.

— სათხილამურო კოსტუმები თუ გაქვთ?

— დალოცვილო, — ღიმილით ამბობს მაღაზიის გამგე ი. კრიხელი, — სად იყავი აქამდე?! ამასწინათ 500 კომპლექტი მივიღეთ. ვიცადეთ დიდხანს, ვიცადეთ, სპორტული საზოგადოებებიდან არავინ მოვიდა და ჩვენც ბაზარზე გავყიდეთ. რას იზამთ? ვაჭრობის მუშაკებს დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს გვირჩევნია.

აქ, სხვათაშორის, არც სპორტული ინვენტარია ჭარბად. მოკრივე... ორიოდე ხელთათმანის, ბურთების და თხილამურების გარდა ბევრს ვერაფერს ნახავთ.

— არავინ გვიკვეთავს და ჩვენ რაზე შევიწუხებთ თავს. გვითხრეს მაღაზიაში.

ეს ნაწილობრივ მართალიცაა. სპორტული საზოგადოებები ხშირად როდი აწუხებენ მაღაზიას, თავის მხრივ არც მაღაზიის მესვეურნი იჩენენ დაინტერესებას. ამიტომაა, რომ ვაჭრობის გეგმა აქ სისტემატურად არ სრულდება.

### როცა ტრადიციულ სახეობას ივიწყებენ

სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის ქალაქში ყველა პირობა არსებობს. ოდესღაც სპორტის ამ სახეობას დიდი ყურადღება ექცეოდა. მშვენიერი ბუნებრივი პირობები... ზამთრობით მარადდათოვლილი მთის კალთები საასპარეზოდ მრავალ სპორტსმენს იზიდავდა. საკუთარი ინიციატივით ახლაც ბევრი ფიზკულტურელი იწვრთნება სათხილამურო სპორტში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დიდ ნაწილს მეორე და მესამე თანრიგის ნორმები აქვს შესრულებული.

მაგრამ ტრადიციულად დამკვიდრებულ სპორტის ამ სახეობას ახლა რატომღაც არ ექცევა საჭირო ყურადღება. სკოლების გარდა, თითქმის დღემდე არსად არ ჩამოუყალიბებიათ სათხილამურო სექციები.

„დინამოს“ მაღაზიამ კარგა ხანს სარეალიზაციოდ შემოზიდა 1… წყვილი თხილამური, მათგან ქალაქში მხოლოდ 30 წყვილი გაიყიდა.

— ამ დღეებში ყველა თხილამურს სპორტული საზოგადოებები შეიძენენ — ირწმუნება ფიზკულტურისა და სპორტის ინსპექტორი ნ. გაზაევი.

მაგრამ როდისღა?!

**გ. ოქრუაშვილი,**
**დ. მიქაძე,**
**გ. კობაიძე,**
**ს. მარუაშვილი.**

დიადი დღესასწაულის შესახვედრად

## მათი სიტყვა და საქმე

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავი. დღესასწაულისათვის მზადების დღეებში დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და ახალმშენებლობებზე უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში დამთავრდა კიდევ ერთი სამუშაო დღე. ახალგაზრდა მუშები, რომელთა დიდი უმეტესობა სპორტსმენები არიან, ქარხნის საერთო კრებაზე შეიკრიბნენ. სიტყვებით გამოსულმა ქარხნის მოწინავე მუშებმა ახალ-ახალი ვალდებულებები იკისრეს, რათა სასახელოდ შეხვდნენ დიად დღესასწაულს.

— მე, — განაცხადა მექანიკური საამქროს ზეინკალმა მძლეოსანმა სუჩკალინოვმა, — ვებმები წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და ვალდებულებას ვიღებ წუნის შემცირებითა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებით ყოველდღიური დავალება 220-230 პროცენტით შევასრულო. ქარხნის მოწინავე ფიზკულტურელმა სიტყვა საქმედ აქცია. ამხანაგს თანატოლებიც არ ჩამორჩნენ. ქარხნის 300-მდე ფიზკულტურელი, როგორც ერთი, შრომის ახალ ფერხულში ჩაება. აქ საამქრო ეჯიბრება საამქროს, ოსტატი—ოსტატს და მათი უმეტესობა დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ამწყობი საამქროს ახალგაზრდა მუშა ი. ხმიადაშვილი, რომელიც ქართული ჭიდაობის სექციის აქტიური წევრია, ქარხანაში მოწინავე მუშად ითვლება. მან გეგმის შესრულება ამ დღეებში 300 პროცენტამდე გაზარდა. ნაყოფიერი შრომის მაგალითებს იძლევიან საიარაღო და მექანიკური საამქროს მუშა ფეხბურთელები მ. ოგანიანი, ვ. აივაზიანი და ვ. პოლიპოვი, კალათბურთელები — ვ. სავენკო და მ. სტოგნევა, ფრენბურთელი — ნ. მიხაილოვა, მძლეოსანი — მ. კალიგინი და სხვები.

ამჟამად ქარხნის კოლექტივისათვის, რომლის სული და გული ახალგაზრდობაა, არაფერია იმაზე ძვირფასი, ვიდრე პირნათლად შეასრულონ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულებანი და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

ო. ივდოშვილი

---

## სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ოქტომბრის 36-ე წლისთავის ღირსეულად შესახვედრად თავდადებული შრომაა გაჩაღებული დიღმის მტს-ის მექანიზატორთა შორის. მიმდინარეობს სახელოსნოს რეკონსტრუქცია. შეკეთებულ იქნა დაზგები, ეწყობა სიმძიმის მექანიკური ამწევები და სხვ. ამ სამუშაოთა შესრულებაში მტს-ს დიდ დახმარებას უწევს შეფი — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო.

ამჟამად მიმდინარეობს მზრალად ხვნა. ახალგაზრდა ტრაქტორისტმა სპორტსმენმა ოთარ წამალაშვილმა მოკლე დროში აითვისა „კდ-35" მარკის ტრაქტორის მართვა. მან წარმატებით დაამთავრა საშემოდგომო ხვნა-თესვა და ახლა აწარმოებს მზრალად ხვნას. დღეისათვის მას გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად მოხნული აქვს 80 ჰექტარი. ამასთან მარტო საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოებში 778 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

ნაყოფიერად მუშაობენ ტრაქტორისტი ფიზკულტურელები მიხეილ და ნიკოლოზ ხუციშვილები, იორამ წამალაშვილი, ივანე პარკაული და სხვები, რომლებიც მზრალად ხვნის ყოველდღიურ გეგმებს ერთი ორად ასრულებენ.

— ყველაფერი სამშობლოს საკეთილდღეოდ! აი, მათი დევიზი.

ი. ნუცუბიძე

---

## ახალი კომპლექსის პროექტის განხილვა

„დინამოს" სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში გაიმართა რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის საერთო კრება, რომელმაც მოისმინა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის ი. ოსიპოვის მოხსენება იმში და მში კომპლექსის ახალი პროექტის შესახებ. მომხსენებელმა ილაპარაკა, თუ რამ გამოიწვია ახალი პროექტის შედგენის საჭიროება და რამდენად შეუწყობს ხელს იგი საბჭოთა სპორტის შემდგომ განვითარებას, გაზრდის ნორმატივის ჩამბარებელთა მასობრიობასა და აქტიურობას. ამხ. ოსიპოვმა რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს ფიზკულტურული მუშაკები პროექტში შეიტანენ საქმიან შესწორებებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს და დააჩქარებს პროექტის საბოლოოდ დამუშავებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს მიერ პროექტში შეტანილი შენიშვნები კრებას გააცნო ა. არხანგელსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოქმედი პროექტი რთულია და აძნელებს ნორმატივების ჩაბარებას, არ იძლევა ნორმატივების ჩამბარებლის სრული ფიზიკური განვითარების საშუალებას. ახალი პროექტი უფრო კონკრეტულია, რაც ხელს შეუწყობს ნორმატივების მასობრივ ჩაბარებას. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს აზრით ახალ პროექტში შეტანილ უნდა იქნას მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს პროექტის მეტად დაკონკრეტებას. მაგალითად მში I საფეხურის კომპლექსის პროექტიდან ამოღებულ იქნას გოგონათა რბენა 800 მეტრზე, რბენა 5.000 მეტრზე შეიცვალოს 3.000 მეტრზე რბენით და სხვ.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გ. ჩიკვაიძემ მოითხოვა პროექტის ხელახალი რედაქცია მასში არსებული შეცდომების გამო, წამოაყენა წინადადება შემცირდეს შუბის ტყორცნის ნორმა, რადგან იგი შედარებით ძნელია მოსწავლეთათვის. სამაგიეროდ გაიზარდოს ყუმბარის ტყორცნის ნორმატივი, რადგან შედარებით ადვილად დასაძლევი წინააღმდეგობა ჩამბარებელს ინტერესს აღუძრავს შემდგომ მუშაობაში. მან შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე სიმაღლეზე ხტომის ნორმატივის გაზრდაც.

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ბ. ტახტაროვმა, ლ. გოლოვნიამ, ვ. სამსონაძემ, გ. მერკვილაძემ, მ. ცხვედაძემ და სხვებმა წამოაყენეს მნიშვნელოვანი წინადადებანი პროექტში ცვლილებების შესატანად.

საბოლოო სიტყვით გამოსულმა ამხ. ი. ოსიპოვმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი შენიშვნები გათვალისწინებულ იქნება ახალი პროექტის საბოლოოდ დადგენისას.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

---

## ხელის ერთი დაკვრით

— წლის ბოლომდე კიდევ დიდი დროა. ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების წლიურ გეგმას ხელის ერთი დაკვრით შევასრულებთ! — ხშირად ამბობენ აფხაზეთის სპორტის მესვეურები. მართლაც ამ დევიზით მუშაობენ ისინი და შედეგიც სავალალოა.

ოჩამჩირის რაიჯანდაცვის განყოფილებამ (ინსპექტორი შ. შონია) სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმე თვითდინებაზე მიუშვა. აქ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა სანახევროდაც არაა შესრულებული.

ამ მხრივ ოჩამჩირელებს არც ტყვარჩელელი და სუხუმელი კოლეგები ჩამორჩებიან. იმში-ს 110 ნიშნოსნის ნაცვლად დღემდე ტყვარჩელში მხოლოდ 19-ია მომზადებული. ეს ნათლად გვიჩვენებს ფიზკულტურული კოლექტივების სუსტ მუშაობას.

— მში II საფეხურის 346 ნიშნოსნის ნაცვლად 42 მოვამზადეთ. მაგრამ დარჩენილ დროში კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება! —რიხით განაცხადა სუხუმის ჯანმრთელობის განყოფილების ინსპექტორმა შ. მურვანიძემ.

აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების არაოპერატიულმა ხელმძღვანელობამ განაპირობა აღნიშნული მდგომარეობა. დრო მეტად მცირეა, გასაკეთებელი კი ბევრია. აღებულ ვალდებულებებს შესრულება უნდა.

პ. ლეთოდიანი

---

## უძლიერეს ველოსიპედისტთა მონაწილეობით

სარგებლობენ რა ხელსაყრელი ამინდებით ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ველოსიპედისტები ერთმანეთს ხვდებიან მრავალ ამხანაგურ შეჯიბრებაში. თბილისის ველოტრეკზე გაიმართა ველოსიპედისტთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის, „ისკრის", „სპარტაკის", „დინამოსა" და „შახტიორის" წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული ველოსიპედისტები, მსოფლიო რეკორდსმენი ვარგაშკინი („ისკრა"), მრავალ საერთაშორისო შეხვედრებში გამარჯვებული ციპურსკი, ხმელი (ცდსა), ბორისოვი, ბახვალოვი („ისკრა") და სხვ.

ასპარეზობის პირველ დღეს გაიმართა გიტი 200 მეტრზე სვლით, სპრინტერული რბოლა ერთ კილომეტრზე და გუნდური რბოლა.

საინტერესოდ ჩატარდა გიტი 200 მეტრზე ქალებისათვის. დიდხანს საუკეთესო შედეგი ჰქონდა უსოვას (ცდსა) — 14,3, მაგრამ სპარტაკელმა კუხარენკომ ეს შედეგი გააუმჯობესა 0,1 წამით. კარგად გაიარა მანძილი დინამოელმა კოროლიოვამ — მისი შედეგია 14,0. სტარტი აიღო სპორტის ოსტატმა კოპტევამ. ფეხების რიტმული მოძრაობით მან განავითარა დიდი სიჩქარე და როდესაც ვირაჟიდან ფინიშის სწორზე გამოვიდა, ცხადი გახდა, რომ საუკეთესო მაჩვენებელი მას ექნებოდა. ასეც მოხდა. გამარჯვებულის დროა 13,8, ეს შედეგი 0,4 წამით ჩამორჩება მაქსიმოვას საკავშირო რეკორდს.

ეჭვს არ ბადებდა, რომ ვაჟთა შორის პირველობას ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენი ვარგაშკინი არავის დაუთმობდა. შეჯიბრება მან მოიგო შედეგით 12,0. მეორე ადგილზე გამოვიდა დინამოელი დეისონი — 12,5. მესამე ადგილი წილად ხვდა არმიელ ხმელს — 12,6. სპარტაკელი ჯონჯოლიანი მეოთხე ადგილზეა (12,7).

სპრინტი ველოსპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო სახეობაა. იგი სპორტსმენისაგან მოითხოვს კარგ ფიზიკურ მომზადებას, დიდ სისწრაფესა და რბოლის ტაქტიკის ცოდნას. ქალთა შორის ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს „სპარტაკის" ორმა წარმომადგენელმა კოპტევამ და კუხარენკომ და დინამოელმა დონჩენკომ. კოპტევამ, რომელიც ამჟამად კარგ სპორტულ ფორმაშია, ადვილად მოიგო ეს შეჯიბრება. მეორე ადგილზე გამოვიდა კუხარენკო, რომელმაც სწორად ააგო რბოლის ტაქტიკა და უკან ჩამოიტოვა ძლიერი ველოსიპედისტი დონჩენკო.

ვაჟთა შორის ფინალისტები გამოარკვია ნახევარფინალურმა შეჯიბრებებმა. პირველ ნახევარფინალში გამარჯვებული აღმოჩნდა ხმელი, მეორეში — ვარგაშკინი, მესამეში — ბახვალოვი. საინტერესო სპორტულ ბრძოლაში პირველი ადგილი მოიპოვა ვარგაშკინმა, მეორე ადგილი წილად ხვდა ბახვალოვს, მესამე — ხმელს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ველოსიპედისტმა ჯოხაძემ, რომელმაც სპრინტერულ რბოლაში ერთ კილომეტრზე მეექვსე ადგილი მოიპოვა და უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი ველოსიპედისტები, როგორებიც არიან რაბოტიაგოვი, ციპურსკი და სხვ.

პირველი დღის პროგრამა გუნდური რბოლებით ამოიწურა. ქალთა შორის (3 კილომეტრზე) ველოსპორტის ამ სახეობაში პირველ ადგილზე გამოვიდა „დინამოს" სპორტსმენთა კოლექტივი.

ვაჟთა შორის გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე უძლიერესი იყო „ისკრის" სპორტსმენთა კოლექტივი — 5:00,2. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ვარგაშკინი, ბახვალოვი, ბორისოვი და ლომონოსოვი.

• • •





**სურათებზე:** სპრინტერული რბოლის ერთ-ერთ ეტაპზე. მსოფლიო რეკორდსმენი ერთ კილომეტრზე გიტში, სპორტის ოსტატი ვარგაშკინი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

---

## თამაშის კლასის ამაღლებისათვის

თბილისის 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლა წელს ადრე შეუდგა ჭაბუკთა შორის საკავშირო პირველობაზე მონაწილე გუნდის დაკომპლექტებას. უკვე სწარმოებს მეცადინეობა ფეხბურთის თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის ელემენტების დაუფლებისა და თამაშის კლასის ამაღლებისათვის.

სასწავლო-საწვრთნელი გეგმით გათვალისწინებულია გუნდის მივლინებები საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს რაიონებში მოზარდთა შორის ფეხბურთის პოპულარიზაციასა და ნიჭიერი ჭაბუკი ფეხბურთელების გამოვლინებას.

პირველი ასეთი შეხვედრა 35-ე სკოლის ჭაბუკ ფეხბურთელთა პირველმა ნაკრებმა გუნდმა უკვე ჩაატარა ზუგდიდში ადგილობრივ „დინამოსთან".

მოსწავლეებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 3 : 1.

ო. ჟორდანია

---

## პირველად სოფელში

საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში პირველად მოეწყო ზონალური შეჯიბრება მძლეოსნობაში. (100 და 1.000 მეტრზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა, ყუმბარის ტყორცნა). მონაწილეობდა ჯალაურთის, გოგოლაქების, კორბოულისა და ჭალვანის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ახალგაზრდები, რომლებმაც შეჯიბრებაში პირველი ადგილები მოიპოვეს, მონაწილეობას მიიღებენ სარაიონო სპარტაკიადაში.

მ. გაგნიძე

---

## რემონტს აჭიანურებენ

ჭიათურაში იყო საჭიდაო დარბაზი, სადაც ყოველდღე ვარჯიშობდნენ ჭიდაობის მოყვარული ახალგაზრდები და მონდომებით ეუფლებოდნენ სპორტის ამ სახეობას. დიდი ხანია, რაც დაიწყო დარბაზის შეკეთება და დამთავრებას ჯერჯერობით არაფერი ეშველა. ამის გამო ჭიდაობის სექცია უმოქმედოდაა.

ო. ჯოხაძე

---

სპორტულ საზოგადოებებში

## «შრომითი რეზერვები»

კუიბიშევი. (ჩვენი სპეც. კორ.). ოთხ დღეს გრძელდებოდა „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის, კუიბიშევის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 80-მდე მოჭიდავე.

ჩემპიონატში დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივს, რომელმაც გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კუიბიშევის, ხოლო მესამეზე — ლენინგრადის წარმომადგენლები.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება პირად ჩათვლაში. განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა გაიმართა პირველობისათვის ქვესაშუალო წონაში. საქართველოს წარმომადგენელმა ჯულუხიძემ გამოამჟღავნა კარგი ფიზიკური მომზადება, ჭიდაობის მაღალი ტექნიკა და დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი ამ წონით კატეგორიაში. მასვე გადაეცა სპეციალური ჯილდო საუკეთესო ტექნიკის ჩვენებისათვის. საქართველოს მოჭიდავეთა წარმატებით აღინიშნა ასპარეზობა აგრეთვე საშუალო და ქვემძიმე წონებში. პირველი ადგილები მოიპოვეს მჭედლიძემ და ჭყოიძემ.

ლ. სტარშევი

პირველი კატეგორიის მსაჯი.

---

## «მედიკი»

„მედიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ჩოგბურთში, რომელიც სოჭში ჩატარდა, 18 გუნდი მონაწილეობდა. მეორე ჯგუფის გუნდებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა საზოგადოება „მედიკის" საქართველოს ჩოგბურთელთა გუნდი.

## მოთხილამურეთა შეჯიბრებები

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა სათხილამურო სპორტში 1953-1954 წლის ზამთრის სეზონისათვის.

ზამთრის სპორტული სეზონის გახსნა მოხდება რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში 21 დეკემბერს. იანვარში ბაკურიანში ტრადიციულ შეკრებას ჩაატარებენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი სლალომისტები. მათ შორის იქნებიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. ამავე თვეში საქართველოს თოვლიან რაიონებში მოეწყობა სკოლების მოსწავლეთა და ახალგაზრდობის მასობრივი და საკლასიფიკაციო შეჯიბრებანი, ქალაქების, რაიონებისა და სპორტსაზოგადოებათა პირველობები.

თებერვალში ბაკურიანში განზრახულია მოეწყოს რესპუბლიკის პირველობა სოფლის ახალგაზრდობას შორის და საქართველოს პირველობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის. სოფლის ახალგაზრდობის ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაზე.

იმავე თვეში ცალკე ჩატარდება საქართველოს პირადი პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში. საინტერესო ღონისძიება მოეწყობა თებერვალში — მრავალდღიანი სათხილამურო რბოლა ბაკურიანი-კოჯორი. მასში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მოთხილამურეები. მოზარდ მოთხილამურეთა რესპუბლიკური შეჯიბრება გაიმართება აგრეთვე ბაკურიანში (მარტი).

მოთხილამურეთა სრულწლიანი წვრთნისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიზნით იალბუზის რაიონში მოეწყობა საქართველოს პირადი პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში. ეს საინტერესო შეჯიბრება გათვალისწინებულია ივლისში.

## სპორტული ქრონიკა

მახარაძეში ერთ კვირას მიმდინარეობდა რაიონული პირველობის გათამაშება კალათბურთში. მონაწილეობდნენ „ისკრის“, „კოლმეურნეს“, „სპარტაკის“, „კრასნოე ზნამიას“, სოფელ ძიმითის, ქალაქის ვაჟთა საშუალო სკოლისა და სხვა გუნდები.

რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა „ისკრის“ რაისაბჭოს გუნდმა.

**ქ. გოგატაძე**

• • •

დამთავრდა თიანეთის რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების 1953 წლის პირველობა ფრენბურთში, რომელიც ორ ზონად მიმდინარეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზონებში გამარჯვებული სიმონიანთხევისა და თიანეთის საშუალო სკოლის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები. პირველი ადგილი და რაიონის ჩემპიონის სახელი მეორედ მოიპოვეს თიანეთის საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა.

• • •

გორი. რკინიგზის საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრება ფრენბურთში რაიონის 1953 წლის პირველობაზე. ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის იბრძოდნენ სოფელ ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, მეჯვრისხევის, ტირძნისის, კარალეთის, ატენისა და ნიქოზის საშუალო სკოლების ფრენბურთელთა გუნდები.

პირველი ადგილი და რაიონის 1953 წლის ჩემპიონის წოდება წილად ხვდა ნიქოზის საშუალო სკოლის გუნდს, მეორე ადგილზე გამოვიდა ტირძნისის საშუალო სკოლა.

**ნ. ბერიძე**



ციურიხში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტი თხუთმეტი გროსმაისტერის შეჯიბრება. საბჭოთა გროსმაისტერმა ვ. სმისლოვმა ბრწყინვალე გამარჯვება და ბოტვინიკთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

არც მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი იყო უქმად ამ პერიოდში. იგი თავის მწვრთნელთან ერთად დაუღალავად მუშაობდა თავის საჭადრაკო დონის ასამაღლებლად, აწყობდა ერთდროულ სეანსებს წარმოება-დაწესებულებებში.

ამ დღეებში მოსკოვში ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კლუბში ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა შეხვედრა მოუწყეს მსოფლიო ჩემპიონს. მან ჩაატარა ერთდროული სეანსი 23 დაფაზე. ჩემპიონმა მოიგო 18 და ყაიმით დაამთავრა 5 პარტია.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ბოტვინიკი ქარხნის მოჭადრაკეებთან.

## საბჭოთა მოჭადრაკეები უძლიერესნი არიან მსოფლიოში

### უცხოეთის პრესა გროსმაისტერთა ტურნირის შესახებ

შვეიცარული პრესა კომენტარს უკეთებს საერთაშორისო-საჭადრაკო ტურნირის შედეგებს, სადაც პირველობა მოიპოვა საბჭოთა გროსმაისტერმა ვასილ სმისლოვმა. გაზეთებმა დაბეჭდეს გამარჯვებულის ფოტოსურათი და მოკლე ბიოგრაფია.

პრესაში აღნიშნავენ ვ. სმისლოვის შესანიშნავ საბრძოლო თვისებებს, რამაც შესაძლებლობა მისცა მას დამსახურებული გამარჯვებისათვის მიეღწია. რუსმა გროსმაისტერმა ვასილ სმისლოვმა, — წერს გაზეთი „დი ტატი“, — მოიპოვა დიდი და დამსახურებული გამარჯვება. მსოფლიოს უძლიერეს გროსმაისტერებთან 28 შეხვედრიდან მან ცხრა პარტია მოიგო, 18 დაამთავრა ფრედ და მხოლოდ ერთი წააგო! აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მოჭადრაკემ ტურნირის დასაწყისიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და მიუხედავად მოწინააღმდეგეთა დიდი ცდისა, იგი ბოლომდე არავის დაუთმო. ეს მოწმობს სმისლოვის შესანიშნავ ნიჭსა და გამარჯვებისადმი შეუნელებელ სწრაფვას“.

„სმისლოვი, — აღნიშნავს გაზეთი „დერ ბუნდი“, — ითვლება დიდ სტრატეგად. აღჭურვილია შეუდარებელი გამძლეობით და დაუფლებულია თავდაცვის დიდ ხელოვნებას“.

„ტურნირში გამარჯვებულმა სმისლოვმა, — წერს გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“, — მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება. მან ორი ქულით უკან ჩამოიტოვა პირველობის უახლოესი პრეტენდენტები. სმისლოვის თითქმის შეუცდომელ, მშვიდ და ტექნიკურ თამაშს ალტაცებაში მოჰყავდა ყველა. ყველაფერმა ამან შესაძლებლობა მისცა მას გადაელახა ყველა სიძნელე და გამარჯვებისათვის მიეღწია“. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე საბჭოთა საჭადრაკო სკოლის დიდ უპირატესობას. „ყველა რუსმა მოჭადრაკემ დაამტკიცა, — აღნიშნავს გაზეთი „დერ ბუნდი“, — რომ ისინი ნამდვილად სჯობნიან ყველა დანარჩენი ქვეყნის სპორტსმენებს, არა მარტო თამაშის ხელოვნებაში, არამედ გამძლეობაში“. „ადგილების საბოლოო განაწილება,— სწერს გაზეთი „ბაზლერ ნახრიხტენი“ მოწმობს, რომ საბჭოთა მოჭადრაკეები უძლიერესნი არიან. ისინი პირველ მეთერთმეტე ადგილებზე მოხვდნენ. მხოლოდ ორმა ოკეანესგაღმელმა გროსმაისტერმა — რეშევსკიმ და ნაიდორფმა შეძლო ათეულში მოხვედრა, ოთხმა ევროპელმა მოჭადრაკემ კი ბოლო ადგილები დაიკავა. ციურიხის ტურნირში თვითეულმა მონაწილემ 28 ძნელი პარტია გაითამაშა. ამისათვის საჭირო იყო ფიზიკური ძალის კოლოსალური დაძაბულობა. როგორც ვხედავთ, უძლიერესნი რუსები აღმოჩნდნენ“.

გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ საბჭოთა გროსმაისტერები — კერესი, ბრონშტეინი, კოტოვი, ტაიმანოვი რთული კომბინაციური თამაშის შეუდარებელი ოსტატები არიან.

შვეიცარიის საჭადრაკო საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციის წევრთა გამოსვლებმა ერთდროულ სეანსებში. უძლიერეს მოჭადრაკეებთან 25-30 დაფაზე სეანსები ჩაატარეს გროსმაისტერმა ბონდარევსკიმ ბერნში, გროსმაისტერმა ფლორმა ჟენევაში, გროსმაისტერმა ლილიენტალმა ჟენევაში, ბადენსა და ციურიხში, გროსმაისტერმა ტოლუშმა ლოზანში.

## პრესკონფერენცია „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაში

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის ბიურომ. ბიუროს სხდომებზე განხილულ იქნა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის მომავალი გათამაშების საკითხი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჭიდაობის ფედერაციის თხოვნა საერთაშორისო ფედერაციის წევრად მისი მიღების შესახებ, აგრეთვე წინადადებანი შეჯიბრებათა წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ ამას წინათ მოაწყო პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ფედერაციის აღმასკომის ბიუროს წევრები, საბჭოთა პრესის, რადიოსა და საკდესის წარმომადგენლები.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის— იავფ-ის პრეზიდენტი ბ-ნი კულონი. მან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების სახელით მადლობა გადაუხადა ჭიდაობის საკავშირო სექციას ბიუროს სხდომების მოსკოვში მოწვევისათვის. აღნიშნა, რომ იავფ-ი პირველი საერთაშორისო ფედერაციაა, რომელმაც თავისი შეკრების ადგილად მოსკოვი აირჩია და იმედი გამოთქვა, რომ შემდგომში სხვა საერთაშორისო ფედერაციებიც მიბაძავენ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მაგალითს.

ბ-მა კულონმა სინანული გამოთქვა, რომ აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო იაპონიის ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენელმა ბ-მა ხატმა, რადგან მისი არყოფნის გამო ბიუროს არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება მორიგი მსოფლიო პირველობის ჩატარების ადგილის შესახებ, რომელიც განზრახულია მოეწყოს 1954 წლის აპრილში. იავფ-ის თავდაპირველი გადაწყვეტილება პირველობის ტოკიოში ჩატარების შესახებ შეიძლება შეიცვალოს იმის გამო, რომ იაპონიიდან ჯერ კიდევ არაა მიღებული დასტური პირველობის მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას ბიურო გამოიტანს შემდგომ სხდომაზე პარიზში. თუ იაპონია უარს განაცხადებს შეჯიბრების თავის ქვეყანაში მოწყობაზე, მაშინ განხილულ იქნება უნგრეთის, ბელგიისა და დასავლეთ გერმანიის ეროვნული ფედერაციების განცხადებები თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის მათს ქვეყანაში მოწყობის შესახებ.

შეეხო რა საერთაშორისო ფედერაციაში ჩინეთის მოჭიდავეთა მიღების საკითხს, ბ-მა კულონმა განაცხადა, რომ მისი აზრით იავფ-ის კონგრესის დადებითი გადაწყვეტილება ეჭვს არ იწვევს და ამ საკითხის განხილვა კონგრესზე იქნება მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი ფორმალობა.

პასუხი გასცა რა კორესპონდენტების შეკითხვებზე, ბ-ნმა კულონმა განაცხადა, რომ მომავალ მსოფლიო პირველობაში საბჭოთა კავშირის გარდა მოსალოდნელია მონაწილეობა მიიღონ უნგრეთის, თურქეთის, ფინეთის, შვეციის, იტალიის, საფრანგეთის, აშშ-ს, არგენტინის, ინდოეთის, ფილიპინების, ირანისა და სხვა ქვეყნების მოჭიდავეებმა.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა ბ-მა სმედსმა (ფინეთი) დამსწრეთ მოუთხრო იმ დიდ ინტერესზე, რომელსაც მის ქვეყანაში იჩენენ საბჭოთა სპორტსმენებთან, კერძოდ, საბჭოთა მოჭიდავეებთან შეხვედრისადმი. ბ-მა სმედსმა იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიო პირველობამდე საბჭოთა და ფინელი მოჭიდავენი ერთმანეთს შეხვდებიან ამხანაგურ მატჩებში.

პრესკონფერენციის დასასრულს ბ-მა კულონმა ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ჭიდაობის საკავშირო სექციას გულთბილი მიღებისა და აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის.

## საბჭოთა ფეხბურთელების გამგზავრება

წლევანდელი საფეხბურთო სეზონი მდიდარი იყო საერთაშორისო შეხვედრებით. საზღვარგარეთის მთელმა რიგმა გუნდებმა ჩაატარეს თამაშები ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და თბილისში ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, შვეციის, ავსტრიის, ინდოეთისა და ფინეთის ფეხბურთელებმა 22 მატჩი გამართეს. ამ შეხვედრებში ჩვენმა გუნდებმა 13-ჯერ გაიმარჯვეს, 4 დაამთავრეს ფრედ და 5 წააგეს. მოწინააღმდეგეთა კარში გატანილია 75 ბურთი, საკუთარში მიღებულია — 25. ამჟამად საბჭოთა ფეხბურთელები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან უცხოეთის ფეხბურთელებს.

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდი „ტორპედო“ გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ტორპედოელებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს ბერლინში „ფორვერტსთან“ და დამარცხდნენ — 2:4.

28 ოქტომბერს პოლონეთის სპორტული ორგანიზაციების მიწვევით მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“.

ამავე დღეს ფინეთს გაემგზავრა ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდი.

## კალათბურთში მსოფლიო პირველობის წინ

როგორც დპა-ს სააგენტო ციურიხიდან იუწყება, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბრაზილიის უარმა, დაუშვას თავის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სპორტსმენები კალათბურთში მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. მსოფლიო პირველობა განზრახულია მოეწყოს 1954 წელს ბრაზილიაში. თავის უარს ბრაზილია ასაბუთებს იმით, რომ მას არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობანი აღნიშნულ ქვეყნებთან.

თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კალათბურთელები, — ხაზგასმულია ცნობაში, არ ჩამოვლენ ბრაზილიაში, მსოფლიო პირველობას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, ვინაიდან საბჭოთა კავშირი როგორც ევროპის ჩემპიონს, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთსა და ბულგარეთს მოწინავე ადგილები უჭირავთ კალათბურთში თუნდაც ევროპაში.

## რვაადგილიანი ნავების შეჯიბრების ტრადიცია

რვაადგილიანი ნავებით მსოფლიოში პირველი შეჯიბრება მოეწყო 1[…] წლის წინათ ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სტუდენტთა გუნდებს შორის. ისტორია ამ ტრადიციული შეჯიბრებისა, რომელიც მდინარე ტემზას ნაპირზე მილიონამდე მაყურებელს იზიდავს, ასეთია: ლონდონიდან ექვსი მილის (ზღვის მილი 1.852 მეტრს უდრის) დაშორებით იყო ლუდხანა, სადაც არდადეგების დროს ლუდის დასალევად და დროს გასატარებლად მიდიოდნენ ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სტუდენტები. ლუდხანისაკენ მიმავალ საწყალოსნო გზაზე აღმართული იყო რაბი, რომელიც აჩერებდა დაგვიანებულ ნავს. ლუდხანის ვიწრო ბინა ვერ იტევდა ნიჩბოსანთა ორ გუნდს, ამიტომ ნავები ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ, რათა პირველად გაევლოთ რაბი და დაეკავებინათ ლუდხანის დარბაზი.

კემბრიჯის უნივერსიტეტის რექტორმა წინადადება წამოაყენა ზემოაღნიშნულ მანძილზე დაწესებულიყო ტრადიციული შეჯიბრება ორი უნივერსიტეტის რვაადგილიან ნავებს შორის. ასე წარმოიქმნა სპორტული შეხვედრის ძველი ტრადიცია.

**რედაქტორი ი. უგულავა**

3 გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11175